

არასამთავრობო ორგანიზაცია კავშირი “21-ე საუკუნე” ახორციელებს საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე წარმოდგენილი საკვები პროდუქტების უსაფრთხოების საკითხების შესწავლას მიმდინარე რეგიონალური პროექტის “საზოგადოებრივი სამომხმარებლო ინიციატივა სამხრეთ კავკასიაში საკვები პროდუქტების უსაფრთხოების გაზრდისათვის” ფარგლებში. აღნიშნული პროექტი ხორციელდება ფონდი „ევრაზიის“ სამხრეთ კავკასიის თანამშრომლობის პროგრამის და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

ორგანიზაციამ 2007 წლის თებერვლის თვეში პროექტის ფარგლებში მოახდინა ქ. თბილისის სუპერმარკეტებში ძეხვის, შოკოლადისა და ჩაის 3-3 დასახელების პროდუქციის შექმნა და მოხდა მათი ლაბორატორიული გამოცდები. კერძოდ შემოწმებულ იქნა შემდეგი პროდუქციები.

1) სამი სახეობის მოხარშული ძეხვი:

- ძეხვი “საექიმო” – მწარმოებელი ფირმა “ლინდკოსტი” ავსტრია;
- ძეხვი “მოლოჩნაია” – მწარმოებელი დსს “მიქოიანის ხორც-კომბინატი” რუსეთი
- ძეხვი “ლიუბიტელსკაია” – მწარმოებელი სს “სოჩის ხორც კომბინატი” რუსეთი

2) სამი სახეობის შოკოლადი:

- მუქი შოკოლადი “პუტეშესტვიე” – მწარმოებელი აქციონერული გაერთიანება “როსია” სამარა, რუსეთი.
- ტკბილი დესერტი “CLUMSY BEAR“, თხილით – მწარმოებელი ფაბრიკა “ბიფა” კარამანი, თურქეთი;
- რძიანი შოკოლადი “ALPEN GOLD“ ქიშმიშით და თხილით. შპს “კრაფტ ფუდს რუს“, რუსეთი

3) სამი სახეობის ჩაი:

- ჩაი შავი, ინგლისური საუზმისათვის “AHMAD TEA”– დამზადებულია “AHMAD TEA LTD“-ს მიერ, შრილანკა
- ჩაი შავი “Riston” – შრილანკა
- ჩაი “Final” – დამამზადებელი “Sun tea International” ღუბაი

პროდუქციის ლაბორატორიული გამოცდა ჩატარდა საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო და ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ:

– პროდუქციის ნიშანდება – საქართველოს კანონის “მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ” მუხლი 6.

– პროდუქციის ორგანოლეპტიკური და ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები განისაზღვრა: ძეხვისათვის გოსტ 23670-79-ით, შოკოლადებისათვის გოსტ 6534-89-ით, ჩაისათვის გოსტ 1938-90-ით.

– უსაფრთხოების მაჩვენებლები (მიკრობიოლოგია და ტოქსიკური ელემენტები) და ენერგეტიკული ღირებულება – სანიტარული წესებისა და ნორმების სანწიდან 2.3.2.000-00 “ჰიგიენური მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების სარისხისა და უსაფრთხოებისადმი” მოთხოვნების შესაბამისობაზე.

ამასთანავე ავღნიშნავთ, რომ:

აქ გამოთქმული მოსაზრებები ერთპირვნულად ავტორების საკუთრებაა და ქოველთვის არ ასახავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და ფონდ “ევრაზიის” მოსაზრებებს.

1. მოხარშული კეხვები

ბამოცდის პარამეტრები	კეხვი მოხარშული								
	“მალონია” (დსს “მიქოიანის ხორც-კომბინატი” რუსეთი)			“საემიო” (ფირმა “ლინდკოსტი” ავსტრია)			“ლიუბიტელსკაია” (სს “სოჩის ხორც კომბინატი” რუსეთი.)		
									
1. პროდუქციის ნიშანდება (ეტიკეტი)	არ გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტი			გააჩნია არასრული ქართულენოვანი ეტიკეტი			არ გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტი		
2 პროდუქციის ბამოშვების თარიღი, გარბისიანობის ვადა	გაურკვეველია			გააჩნია			გააჩნია		
3 ორბანოლექტიკური მარკენალები (გარეგანი სახე, კონსისტენცია, სახე გადანაჭერზე, სუნი და გემო)	შეესაბამება			შეესაბამება			შეესაბამება		
4 ფიზიკო-ქიმიური მარკენალები	ნორმ. ღოკ	ზაჰტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ზაჰტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ზაჰტ	შედეგი
- ტენიანობის მასური წილი, % არაუმეტეს	55	73,1	არ შეეს	55	57,0	არ შეეს	55	61,0	არ შეეს
- ნიტრიტების მასური წილი, % არაუმეტეს	0,005	0,0005	შეეს	0,005	0,0013	შეეს	0,005	0,0006	შეეს
- სახამებლების მასური წილი, % არაუმეტეს	დაი-შეება	1,4	შეეს	დაი-შეება	არ აღმონ.	შეეს	დაი-შეება	არ აღმონ.	შეეს
- სუფურის მარილის მასი-ური წილი, % არაუმეტეს	5,3	2,0	შეეს	5,3	2,0	შეეს	5,3	2,2	შეეს
5 უსაფრთხოების მარკენალები									
- მიკრობიოლოგიური მარკენალები	ნორმ. ღოკ	ზაჰტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ზაჰტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ზაჰტ	შედეგი
მეზოფილურ აერობული და ფაკულტატიურ ანაერობული ბაქტერიები კვ/გ, არა უმეტეს	1X10 ³	3X10 ²	შეეს	1X10 ³	1X10 ³	შეეს	1X10 ³	4X10 ³	არ შეეს
ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები (კოლიფორმები)	1,0	არ აღმ	შეეს	1,0	არ აღმ	შეეს	1,0	არ აღმ	შეეს
სულფიტმარეღუციოებელი კლოსტრიდები	0,1	არ აღმ	შეეს	0,1	არ აღმ	შეეს	0,1	არ აღმ	შეეს
S.aureus	1,0	არ აღმ	შეეს	1,0	არ აღმ	შეეს	1,0	არ აღმ	შეეს
პათოგენები, მ.შ. საღმონელა	25	არ აღმ	შეეს	25	არ აღმ	შეეს	25	არ აღმ	შეეს
- ტოქსიკური ელემენტები	ნორმ. ღოკ	ზაჰტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ზაჰტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ზაჰტ	შედეგი
დარიშხანი	0,1	არ აღმ	შეეს	0,1	არ აღმ	შეეს	0,1	არ აღმ	შეეს
ტყვია	0,5	არ აღმ	შეეს	0,5	არ აღმ	შეეს	0,5	არ აღმ	შეეს
კადმიუმი	0,05	არ აღმ	შეეს	0,05	არ აღმ	შეეს	0,05	არ აღმ	შეეს
თუთია	70,0	2,0	შეეს	70,0	2,8	შეეს	70,0	8,8	შეეს
ვერცხლისწყალი	0,03	არ აღმ	შეეს	0,03	არ აღმ	შეეს	0,03	არ აღმ	შეეს
სპილენძი	5,0	0,13	შეეს	5,0	1,5	შეეს	5,0	0,05	შეეს
6 ენერგეტიკული ღირებულება (კკალ/100გრ)	ეტიკეტზე		ზაჰტ	ეტიკეტზე		ზაჰტ	ეტიკეტზე		ზაჰტ
	176,8		195,5	არ არის მითითებული		343	298,0		280,5

ცხრილის ასხნა:

პუნქტი 1. პროდუქციის ნიშანდობა (ეტიკეტირება)

ორ ძეხვს (“მალონაია” და “ლიუბიტელსკაია”) არ გააჩნიათ ქართულენოვანი ეტიკეტი, ხოლო ძეხვ “საექიმოს” გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტირება. თუმცა, ეს ქართულენოვანი ეტიკეტი შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგი ინფორმაციით: წონა, შენახვის ტემპერატურა და წარმოებისა და შენახვის ვადები. ასევე ჩამოთვლილია ინგრედიენტები, მაგრამ უცნობია მათი რაოდენობა პროდუქციაში, ასევე უცნობია დამზადებისას გამოყენებული საკვებდანამატები და მისი კალორიულობა, რაც საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა უგულველყოფაა, ანუ წარმოდგენილი ქართულენოვანი ეტიკეტი არასრულია.

პუნქტი 2. პროდუქციის გამომშენებლის თარიღი, ვარვისობის ვადა

ძეხვზე “საექიმო” მითითებულია გამომშენებლის და ვარვისობის ვადები, რომლებიც ნორმაშია. ხოლო რაც შეეხება ძეხვებს “მალონაიას” და “ლიუბიტელსკაიას” მათზე შეუძლებელი იყო გამომშენებლის თარიღის დადგენა.

მომხმარებლებს აქვე ვაფრთხილებთ, რომ ხშირ შემთხვევაში რეალიზატორი მარკეტებსა და სუპერმარკეტებში პროდუქციაზე აკრავს ე.წ. სტიკერებს, რომლებზეც მოცემულია პროდუქციის წონა და ფასი და ხშირ შემთხვევაში სტიკერის დაკვრის თარიღიც, რომელიც რა თქმა უნდა, არ შეესაბამება პროდუქციის გამომშენებლის თარიღს.

პუნქტი 3. ორგანოლექტიკური მაჩვენებლები.

ორგანოლექტიკური მაჩვენებლებში განიხილებოდა ძეხვის გარეგანი სახე, კონსტიტენცია, სახე გადანაჭერზე, სუნი და გემო. სამივე ძეხვმა დადებითად გაიარა ეს შემოწმება და ისინი შეესაბამებოდა ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნებს.

პუნქტი 4. ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები

ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლიდან სამივე ძეხვში დარღვეულია ტენიანობის მასური წილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ძეხვში წყლის რაოდენობა დაშვებულზე მეტია და ჩვენ ვიძენთ უფრო მეტ გაყინულ წყალს.

პუნქტი 5. უსაფრთხოების მაჩვენებლები

უსაფრთხოების მაჩვენებლებში განსაზღვრულ იქნა პროდუქციის მიკრობიოლოგიური და ტოქსიკური ელემენტების მაჩვენებლები. განსაზღვრული მაჩვენებლებიდან დარღვევა დაფიქსირდა ძეხვს “ლიუბიტელსკაიაში”. ამ უკანასკნელში მეზოფილურ აერობული და ფაკულტატურ ანაერობული ბაქტერიები 4-ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას. ხოლო ძეხვ “საექიმოში” აღნიშნული ბაქტერიები დასაშვებ ზღვარზეა. სხვა პარამეტრებით ძეხვები შეესაბამებიან ნორმებს.

პუნქტი 6. ენერგეტიკული ღირებულება (კკალ/100გრ)

სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხის შეფასების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს კვებითი ღირებულების მაჩვენებლები, რომლებიც მოიცავენ პროდუქციაში ძირითადი საკვები ნივთიერებების (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები, ვიტამინები, მაკრო და მიკრო ელემენტები) რაოდენობას და პროდუქციის ენერგეტიკულ ღირებულებებს და ეს მონაცემი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ძეხვ „საექიმოში“ ეტიკეტზე საერთოდ არ იყო მითითებული ენერგეტიკული ღირებულება. დანარჩენ ორ ძეხვში კალორიულობა თითქმის შეესაბამება ეტიკეტზე მითითებულ მაჩვენებელს.

2. შოკოლადი

ბამოცდის პარამეტრები	შოკოლადი								
	“ალპენ გოლდი” (შპს “კრაფტ ფუდს რუს”, პოკროვი, რუსეთი)			“გლუმსი ბეარი” (ფაბრიკა “ბიფა” კარამანი, თურქეთი)			“კუთხეშესტვია” (ლია სს “როსია” სამარა, რუსეთი)		
									
1. პროდუქციის ნიშანდობა (ეტიკეტი)	არ გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტი			გააჩნია არასრული ქართულენოვანი ეტიკეტი			არ გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტი		
2 პროდუქციის ბამოშვების თარიღი, ვარებისიანობის ვადა	გააჩნია			გააჩნია			გააჩნია		
3 ორბანოლევატიკური მაჩვენებლები (სუნი და გემო, გარეგანი სახე, ფორმა, კონსისტენცია, სტრუქტურა)	შეესაბამება			შეესაბამება			შეესაბამება		
4 ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები	ნორმ. ღოკ	ვაძტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ვაძტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ვაძტ	შედეგი
– შაქრების მასური წილი, %	რეცეპტურით – 57.5	57.4	შეეს	რეცეპტურით – არაა მითით	62.0	–	რეცეპტურით – არაა მითით.	56.5	–
– ცხიმის მასური წილი, %	რეცეპტურით – 25.3	30.5	არ შეეს	რეცეპტურით – 20.5	28.8	არ შეეს	რეცეპტურით – 30.8	25.0	არ შეეს
– 10%-იან მარილმჟავაში უხსნადი ნაცრის მ.წ. %	0.1	0.07	შეეს	0.1	0.07	შეეს	0.1	0.08	შეეს
5 უსაფრთხოების მაჩვენებლები									
– მიკრობიოლოგიური მაჩვენებლები	ნორმ. ღოკ	ვაძტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ვაძტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ვაძტ	შედეგი
მეზოფილურ აერობული და ფაკულტატურ ანაერობული ბაქტერიები კვ/გ, არა უმეტეს	1X10 ⁴	12X10 ²	შეეს	1X10 ⁴	4X10 ²	შეეს	1X10 ⁴	16X10 ³	შეეს
ნაწლავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერიები (კოლიფორმები)	0.1	არ აღმ	შეეს	0.1	არ აღმ	შეეს	0.1	არ აღმ	შეეს
პათოგენები, მ.შ. საღმონელა	25	არ აღმ	შეეს	25	არ აღმ	შეეს	25	არ აღმ	შეეს
ობის სოკო	50	არ აღმ	შეეს	50	არ აღმ	შეეს	50	არ აღმ	შეეს
საფუარას სოკო, კ.წ.	50	9	შეეს	50	5	შეეს	50	17	შეეს
– ტოქსიკური ელემენტები	ნორმ. ღოკ	ვაძტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ვაძტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ვაძტ	შედეგი
ღარიშხანი	1.0	არ აღმ	შეეს	1.0	არ აღმ	შეეს	1.0	არ აღმ	შეეს
ტყვია	1.0	არ აღმ	შეეს	1.0	არ აღმ	შეეს	1.0	არ აღმ	შეეს
თუთია	70.0	4.8	შეეს	70.0	არ აღმ	შეეს	70.0	არ აღმ	შეეს
კადმიუმი	0.5	არ აღმ	შეეს	0.5	არ აღმ	შეეს	0.5	არ აღმ	შეეს
ვერცხლისწყალი	0.1	არ აღმ	შეეს	0.1	31.0	შეეს	0.1	26.5	შეეს
სპილენძი	50.0	არ აღმ	შეეს	50.0	3.5	შეეს	50.0	3.5	შეეს
6 ენერგეტიკული ღირებულება (კკალ/100გ)	ეტიკეტზე		ვაძტ	ეტიკეტზე		ვაძტ	ეტიკეტზე		ვაძტ
	493		493.6	528		535.5	528		532.5

ცხრილის ახსნა:

პუნქტი 1. პროდუქციის ნიშანდობა (ეტიკეტირება)

შოკოლადებს “ალპენ გოლდ” და “პუტემესტვიეს” არ გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტი, ხოლო “გლუმსი ბეარს” გააჩნია არასრული ქართულენოვანი ეტიკეტი.

პუნქტი 2. პროდუქციის გამომწვევის თარიღი, ვარვისობის ვადა

სამივე პროდუქციაზე მითითებული გამოშვების თარიღი და ვარვისობის ვადა. რომელიც შექენის მომენტში დარღვეული არ იყო.

პუნქტი 3. ორბანოლექტიკური მაჩვენებლები.

სამივე შოკოლადის ორბანოლექტიკური მაჩვენებლები შეესაბამება შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნებს.

პუნქტი 4. ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები

ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლიდან განისაზღვრა შაქრის, ცხიმის და 10%-იან მარილმჟავაში უხსნადი ნაცრის მასური წილი.

შაქრის მასური წილი: სამივე შოკოლადში შაქრის მასური წილი განისაზღვრება რეცეპტურით. შოკოლად “ალპენ გოლდის” ეტიკეტზე მითითებული იყო რეცეპტურით გათვალისწინებული შაქრის მასური წილი, რომელიც შეესაბამება ფაქტიურ მონაცემებს. ხოლო დანარჩენ ორ შოკოლადზე “გლუმსი ბეარი” და “პუტემესტვიეს” ეტიკეტზე არ არის მითითებული რეცეპტურით განსაზღვრული შაქრის მასური წილი, ამიტომ ამ მაჩვენებლების ფაქტიური მონაცემების შედარება შეუძლებელია.

ცხიმის მასური წილი: ცხიმის მასური წილიც განისაზღვრება რეცეპტურით. როგორც ცხრილიდან ჩანს სამივე შოკოლადში ცხიმის მასური წილი მცირედ განსხვავდება ეტიკეტზე მითითებულიდან.

10%-იან მარილმჟავაში უხსნადი ნაცრის მასური წილი: სამივე შოკოლადში ეს მაჩვენებელი შეესაბამება ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნას.

პუნქტი 5. უსაფრთხოების მაჩვენებლები

უსაფრთხოების მაჩვენებლებში განსაზღვრულ იქნა პროდუქციის მიკრობიოლოგიური და ტოქსიკური ელემენტების მაჩვენებლები. მოხარულნი ვართ, რომ ამ პარამეტრებში სამივე პროდუქციამ დააკმაყოფილა სანიტარიული წესებისა და ნორმების მოთხოვნები.

პუნქტი 6. ენერგეტიკული ღირებულება (კკალ/100გრ)

სამივე შოკოლადში კალორიულობის ფაქტიური მაჩვენებელი მცირედით განსხვავდება ეტიკეტზე მითითებული მაჩვენებლებიდან.

3. ჩაი, შაჰი ბაიხაო, ერთჯერადი პაკეტებით

ბამოცდის პარამეტრები	ჩაი								
	“აჰმად ჩაი” (“AHMAD TEA LTD“, შრილანკა)			“რისტონი” (შრილანკა)			“ფინალი” (“Sun tea International” ლუბაი)		
									
1. პროდუქციის ნიშანდგა (ეტიკეტი)	გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტი			არ გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტი			გააჩნია არასრული ქართულენოვანი ეტიკეტი		
2 პროდუქციის ბამოშვების თარიღი, ვარებისიანობის ვადა	გააჩნია			გააჩნია			გააჩნია		
3 ორბანოლეპტიკური მარკენალები (არომატი და გემო, ნაყენი, მოხარშული ფოთლის ფერი და გარეგანი სახე)	შეესაბამება			შეესაბამება			შეესაბამება		
4 ფიზიკო-ქიმიური მარკენალები	ნორმ. ღოკ	ვაჰტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ვაჰტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ვაჰტ	შედეგი
– ტენიანობის მასური წილი, % არაუმეტეს	8.0	6.9	შეეს	8.0	7.0	შეეს	8.0	8.8	არ შეეს
– წყალში ხსნადი ექსტრაქტული ნივთიერებების მასური წილი, % არანაკლებ	35	39.5	შეეს	35	41.0	შეეს	35	40.2	შეეს
– მეტალომაგნიტური მინარე-ვების მ.წ. %, არაუმეტეს	0.0005	არ აღმ	შეეს	0.0005	არ აღმ	შეეს	0.0005	არ აღმ	შეეს
– საერთო ნაცრი მასური წილი, %	4 - 8	10.2	არ შეეს	4 - 8	6.7	შეეს	4 - 8	8.5	არ შეეს
– ნედლი უჯრედანას მასური წილი, %, არაუმეტეს	19	15.7	შეეს	19	15.3	შეეს	19	16.0	შეეს
5 უსაფრთხოების მარკენალები									
– მიკრობიოლოგიური მარკენალები	ნორმ. ღოკ	ვაჰტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ვაჰტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ვაჰტ	შედეგი
– ლობის სოკო, არაუმეტეს	1X10 ³	არ აღმ	შეეს	1X10 ³	არ აღმ	შეეს	1X10 ³	არ აღმ	შეეს
– ტოქსიკური ელემენტები	ნორმ. ღოკ	ვაჰტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ვაჰტ	შედეგი	ნორმ. ღოკ	ვაჰტ	შედეგი
– დარიშხანი	1.0	არ აღმ	შეეს	1.0	არ აღმ	შეეს	1.0	არ აღმ	შეეს
– ტყვია	10.0	არ აღმ	შეეს	10.0	არ აღმ	შეეს	10.0	არ აღმ	შეეს
– კადმიუმი	1.0	არ აღმ	შეეს	1.0	არ აღმ	შეეს	1.0	არ აღმ	შეეს
– ვერცხლისწყალი	0.1	არ აღმ	შეეს	0.1	არ აღმ	შეეს	0.1	არ აღმ	შეეს
– სპილენძი	100.0	15.7	შეეს	100.0	2.0	შეეს	100.0	5.2	შეეს

ცხრილის ასხნა:

პუნქტი 1. პროდუქციის ნიშანდობა (ეტიკეტირება)

“აჰმად ჩაის” გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტი, “ფინალს” კი გააჩნია არასრული ქართულენოვანი ეტიკეტი, ხოლო “რისტონს” საერთოდ არ გააჩნია ქართულენოვანი ეტიკეტი.

პუნქტი 2. პროდუქციის გამომშვების თარიღი, ვარგისობის ვადა

სამივე პროდუქციის ეტიკეტზე მითითებულია გამოშვების თარიღი და ვარგისობის ვადა, რომლის თანახმადაც პროდუქცია ვარგისია მოხმარებისათვის.

პუნქტი 3. ორგანოლექტიკური მაჩვენებლები.

სამივე პროდუქციის ორგანოლექტიკური მაჩვენებლები შეესაბამება ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნებს..

პუნქტი 4. ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები

ფიზიკო-ქიმიური მაჩვენებლები და რღვევა დაფიქსირდა მხოლოდ ნაცრის მასურ წილის შემცველობაში, კერძოდ “აჰმად ჩაისა” და “ფინალში” ის აღემატება დასაშვებ ნორმებს. ასევე ჩაი “ფინალში” ტენიანობის მასური წილი აღემატება დასაშვებ ნორმას.

სხვა მაჩვენებლები შეესაბამება ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნებს.

პუნქტი 5. უსაფრთხოების მაჩვენებლები

უსაფრთხოების მაჩვენებლებში განსაზღვრულ იქნა პროდუქციის მიკრობიოლოგიური და ტოქსიკური ელემენტების მაჩვენებლები. მოხარულნი ვართ, რომ ამ პარამეტრებში ათივე პროდუქციამ დააკმაყოფილა სანიტარიული წესებისა და ნორმების მოთხოვნები.